ქ. ბათუმი

20.05.2016 წ.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოახლოებული საქართველოს საპარლამენტო და აჭარის არ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მნიშვნელოვანი ტესტია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსათვის, როგორც საზოგადოებრივი და მიუკერძოებელი მაუწყებლის ცხოვრებაში. ბოლო ადგილობრივი არჩევნებისას მაუწყებელმა მოახერხა მნიშვნელოვნად აემაღლებინა სტანდარტი და რეპუტაცია ამ მიმართულებით. ჩვენს ამოცანად უნდა ვაქციოთ შევინარჩუნოთ მიღწეული წარმატებები და ზოგადი გამოცდილებიდან გამომდინარე კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ გარემოებითი რისკებისა და გამოწვევების დასაძლევად.

ქართული გამოცდილება გვკარნახობს მედიიდან პოლიტიკაში და პირიქით მოძრაობის შესაძლებლობებს, რაც სამართლებრივად დასაშვები პროცესია, მაგრამ ამავდროულად აჩენს კითხვებს პროფესიულ საქმიანობაში მიუკერძოებლობის თვალსაზრისით. ამ კუთხით ცალკეული მაგალითები მოიცავს ჩვენს გამოცდილებასაც. აქედან გამომდინარე, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ თანამშრომლები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროდუქტს, რომლებიც ფიქსირდებიან მიმდინარე ეთერში, ან ხელმძღვანელობენ სამუშაო პროცესს, მკაცრად იყვნენ დისტანცირებული ყოველგვარი პოლიტიკური მიკერძოებისაგან, თავი შეიკავონ პირადი პოლიტიკური განწყობილების საჯარო გამოხატვისაგან და უზრუნველყონ აჭარის ტელევიზიის და რადიოს, როგორც მიუკერძოებელი მედიის რეპუტაციის დაცვა.

ამასთანავე, თუ ვინმეს პირად გეგმებში შედის პოლიტიკურ ცხოვრებაში გადანაცვლება, უმოკლეს ვადაში მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება და მოიხსნას ყოველგვარი პასუხისმგებლობა, რომელიც აკავშირებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო საქმიანობის გაშუქებასთან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის

ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან იმედაიშვილი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

გიორგი ირემაძე

ბეჟან გობაძე

ირაკლი დარცმელიძე